ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N
ელექტრონული ტენდერი - NAT

ქ.თბილისი **-- --------, 20-- წელი**

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის - ---------- სახით და მეორეს მხრივ --- ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 33-ე მუხლის და ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT----------) საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი
1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს (CPV----------) შესყიდვა.
1.1.1.ხელშეკრულების ობიექტის ძირითადი სახეობა, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებელი წარმოდგენილია დანართი N1-ში, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება
2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება არაუმეტეს -----.-- (----------) ლარით.
2.1.1. ხელშეკრულების ობიექტის ერთეულის ფასი წარმოდგენილია დანართი N1-ში.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ადგილი და ეტაპობრივი ვადები
3.1. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. N7.
3.2. ხელშეკრულების ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს ----------

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარება
4.1. საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელი, შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს ხელშეკრულების მე-12 მუხლში მითითებული პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:
5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში-ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა შემსყიდველისათვის.
5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4. მიმწოდებელის მხრიდან 5.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში, საქონლის მოწოდების დამთავრების მეორე დღიდან 2(ორი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი კარგავს მოწოდებულ საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.
5.5. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
6.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები არასწორი/ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.1.2. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
6.3.1. მიიღოს მიწოდებული საქონლისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

6.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.4.1.უზრუნველყოს საქონლის მოწოდება სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

6.4.2. მომსახურების დაწყებისთანავე, რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელიც ხელს უშლის, ან აფერხებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, რათა დროულად აღმოიფხვრას ხარვეზები და ხელი არ შეეშალოს დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

7.4. ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოება დაუძლეველ ძალად ვერ ჩაითვლება.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

9.1. მხარეთა შეთანხმება;

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

9.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისთვის დაჯარიმდება 3-ჯერ, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების, მოლაპარაკების გზით;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11.2. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

მუხლი 12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ----------

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის -- ---------- და მოქმედებს 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) გვერდზე, 1 ეგზემპლარად.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7 სახელმწიფო ხაზინა ს/კ 204454198	
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი	
_____ ----------	_____ /----------/